ახალი განათლება

30.04-06.05.2020

№15 (889) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ახლა იმის დრო არ არის, განათლების სამინისტრომ ახალი სისტემის შექმნაზე დაიწყოს ფიქრი – მაია მიმინოშვილი

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი განათლების სამინისტროს ერთიანი ეროვნული გამოცდების უსაფრთხოდ ჩატარების ჰამდენიმე ვარიანტს სთავაზობს. მისი ჰეჯომენდაციით, უნდა გაიზარდოს საგამოცდო ცენტრების ჰოდენობა, იმავდროულად, შემცირდეს სესიაში მონაწილე აბიტურიენტთა ჰისხვი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოცდები ონლაინ ჰევიმშიც გაიმართოს.



„პირველი, რაც უნდა გავეთდეს, არის საგამოცდო ცენტრების ჰოდენობის გაზრდა. ამას, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული მუშაობა სჭირდება. საჭიროა, საგამოცდო ცენტრების გაზრდა ისე, რომ აბიტურიენტს არ დასჭირდეს დისტანციების გავლა, რომ გამოცდა ჩაბარდეს. მეორე – სრულიად შესაძლებელია, სესიების ჰოდენობა გაიზარდოს. ჯისტიჯური ნანილის გამართვა: „ჰეჯომენდაციები ტარდებოდა ცალკე, გამოცდები 9 საათზე იწყებოდა და მხოლოდ 2 სესია გვქონდა, ნელს, საგამოცდო ცენტრში აპლიკანტების შეზღუდული ჰოდენობა უნდა დავუშვათ და ჯონვეიული ნესით შევიყვანოთ შემდეგ სესიებზე. პირობითად, 20 აბიტურიენტი – 9 საათზე, შემდეგ – ჯიდევ 20 და ა.შ. ოცა დასრულებენ, სხვა გასასვლელიდან გავლენ და აბიტურიენტებს ერთმანეთთან შეხება არ ექნებათ. სათქმელად ადვილია, მაგრამ ამას ძალიან სერიოზული მუშაობა სჭირდება, თუმცა ჭრობლემა დაძლევადია", – აცხადებს მაია მიმინოშვილი.

ერთ-ერთ ვარიანტად ე.წ. ონლაინ ჰევიმში ჩატარებასაც განიხილავს, თუმცა ამბობს, რომ, რაც შეეხება უცხო ქვეყნის გამოცდილებას, არ სმენია ცენტრალიზებული საგამოცდო სისტემის შესახებ, რომელიც ე.წ. ონლაინ ჰევიმში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ტარდება, „თუმცა, ყველაფერი პირველად იქმნება და ჩატომაც არ უნდა ჭქონდეს ამბიცია საქართველოს, რომ მსგავსი საგამოცდო სისტემა შეიქმნას."

მაია მიმინოშვილის აზრით, საგამოცდო ცენტრებად ყველა სკოლა შეგვიძლია გამოვიყენოთ. ამბობს, რომ მთავარი და მნიშვნელოვანია ლოგისტიკური ნანილის გამართვა: „ჰეჯომენდაციები გამოცდების ცენტრის ყოფილი დირექტორი. მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული გამოცდების სისტემა შევინარჩუნოთ, მაგრამ გამოცდები ისე ჩავატაროთ, რომ ერთ შენობაში ბევრმა აპლიკანტმა არ მოიყაროს თავი. საგამოცდო ცენტრში, დაახლოებით, 1 500 ადამიანი იყრის თავს (აბიტურიენტები, მეთვალყურეები, მომსახურე პერსონალი). 1 500 ადამიანის ერთ შენობაში თავშეყრა შეუძლებელი იქნება ივლისში და ვერც აგვისტოში გავრისკავთ ამას."

გაუმართლებლად მიაჩნია ეროვნული გამოცდების სრულად გაუქმება, ასევე, გადავადებაც, რადგან უცნობია, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში. ამბობს, რომ ახლა იმის დრო არ არის, განათლების სამინისტრომ ახალი სისტემის შექმნაზე დაიწყოს ფიქრი. „ყველამ უნდა გავაცნობიეროთ ერთი რამ, არც გამოცდების გადავადება იქნებოდა, აღბათ, უპრიანი იმიტომ, რომ, ჯერჯერობით, არ ვიცით, მომავალში როგორი ვითარება იქნება. ღმერთმა ქნას, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს, თუმცა, როგორც სპეციალისტები გვეუბნებიან, ნუ შევიქმნით იმის იღუზიას, რომ ჯორონავირუსი დამარცხდება ივლისში, ან აგვისტოში, ან სექტემბერში." – ამბობს *გამოცდების ცენტრის ყოფილი დირექტორი.*

2020 წლის გამოცდებზე რეგისტრაცია დასრულდა

დარეგისტრირდა: ✓ 39 300-ზე მეტი აბიტურიენტი, ✓ 3 600-ზე მეტი სტუდენტი, ✓ 12 600-ზე მეტი მაგისტრობის კანდიდატი, ✓ 19 600-ზე მეტი მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი.

ინტერვიუ ბერიკა შუკაკიძესთან

პანდემია არა როგორც გამოწვევა, არამედ მეტი შესაძლებლობა საქმიანობის გამრავალფეროვნებისთვის

*პანდემიით შექმნილმა მდგომარეობამ რთული გამოწვევების წინაშე დააყენა სახელმწიფო ინსტიტუციები, მოქალაქეები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ა.შ. მაგრამ ამ საერთო სურათში მასწავლებლები საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ, რადგან მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მასწავლებლებთან პირდაპირი თუ ირიბი შეხება აქვს. ახლა, სწორედ მათზე აღმოჩნდა დამოკიდებული შეძლებდნენ თუ არა განათლების პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებას, რადგან სრულიად დაუგეგმავად სწავლების ონლაინ პლატფორმაზე გადასვლამ ისინი, მართლაც, სერიოზული გამოწვევის პირისპირ აღმოაჩინა. ახლა ყველა და ყველაფერი მათ მხარდაჭერაზე გახდა ორიენტირებული * ისინი, ვინც უშუალოდ ამის მოვალეობას გრძნობენ და ისინიც კი, ვინც, უბრალოდ, მოხალისეებად ერთვებიან პროცესში. თუმცა, მასწავლებლის ყველაზე დიდი მხარდამჭერი ინსტიტუცია, რომელიც ქვეყანაში მის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრია, ე.წ. „მასწავლებლის სახლი“.*

რა მხარდამჭერი ღონისძიებები და ინიციატივები შესთავაზა მასწავლებლის სახლმა კრიზისულ სიტუაციაში მყოფ მასწავლებლებს, ამის შესახებ ცენტრის დირექტორის, ბერიკა შუკაკიძის ინტერვიუდან შეიტყობთ.

ბატონო ბერიკა, რა მხარდაჭერა შესთავაზა მასწავლებლის სახლმა მასწავლებლებს კრიზისულ სიტუაციაში და, თქვენი თვალთახედვით, რა ძირითადი საჭიროებები გამოიკვეთა სწავლების ახალ – დისტანციურ ფორმატზე გადასვლის პირობებში?

➡ როდესაც მთავრობამ გამოაცხადა დისტანცირების პოლიტიკა (თუმცა, ჩვენ მანამდეც გვქონდა ამ მიმართულებით გამოცდილება და პატარა-პატარა ჯგუფები ერთმანეთისგან დისტანცირებულად ვმუშაობდით), პირველივე დღეებში, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს ყველაფერი მიგვეღო არა გამოწვევად, არამედ შესაძლებლობად, სამუშაო პირობების ახალ ნორმალურ მდგომარეობად.

ეს „ახალი ნორმალური“ ნიშნავს იმას, რომ რასაც ადრე ვაკეთებდით, ის შეიძლება უკვე ღრმა წარსულადაც კი იქცეს. მაშინვე შევკრიბე ცენტრის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელები და გავაცანი გადაწყვეტილება – არც ერთი წუთი არ უნდა დაგვეკარგა, სასწრაფოდ უნდა მოგვეხერხებინა გადაწყობა და დაგვეწყო მუშაობა არსებულ მოცემულობაში, ბუნებრივია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ იქნებოდა დამოკიდებული მოწონება/არმოწონებაზე.

მართლაც შევუდექით მუშაობას და ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველები, ვინც ტელესკოლას ამოვუდექით მხარში, ბუნებრივია, იმ ნაწილში, რაც ჩვენ გვევალებოდა – მასწავლებლების მოძებნა, მათი შერჩევა და ა.შ.

ამის გარდა, ჩვენი ცენტრის საგნობრივ ექსპერტებმა მოამზადეს ვებინარები მასწავლებლებისთვის. ყოველთვის იმის მომხრე ვარ, რომ გავაძლიეროთ დანერგვის კომპონენტი, სამწუხაროდ, მასწავლებლების ტრენინგების პრობლემადაც სწორედ ეს მხარე მიმაჩნია. ამიტომ ვთხოვე მათ, რომ პარალელურად, ვებინარების ჩატარებიდან რამდენიმე დღეში, გაეკეთებინათ ჩართვა დისკუსიის რეჟიმში. დისკუსიაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, იქნებიან პედაგოგები, მშობლები თუ სტუდენტები... ანუ, ვებინარების პარალელურად, გაჩნდა სადისკუსიო ნაწილიც.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი შეათავაზებით საკმაოდ ბევრი მასწავლებელი დაინტერსდა, ამას ვებინარების მნახველთა დიდი რაოდენობა ადასტურებს (დღეის მდგომარეობის 320 000). სიმართლე გითხრათ, ამ სიტუაციაში, ონლაინ რეჟიმში მიწოდებულ მსგავს შეთავაზებაზე ასეთ გამოხმაურებას არ ველოდით, რაც, თავისთავად, ძალიან კარგი მანიშნებელია იმისა, რომ ცენტრის მხრიდან დაგეგმილი ვებინარები დროული და სწორი აქტივობა აღმოჩნდა ჩვენი მასწავლებლებისთვის. მეტიც, სწორად გათვლილი დამხმარე რესურსი მასწავლებლებისთვის – საგნობრივი + დისტანციური. ვებინარები დაიგეგმა ცალკე მასწავლებლებისთვის, დირექტორებისთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის, პროფესიული განათლებისთვის და დემოკრატიული კულტურისთვის. იმისთვის, რომ პროცესი ორგანიზებულად წარმართულიყო, ცალკეული მიმართულებისთვის ყოველკვირეული აფიშის მომზადება მოვიფიქრეთ ბანერის სახით, რომელიც ჩვენი ცენტრის ფეისბუქგვერდზეა განთავსებული და დაინტერესებულმა ადამიანებმა წინასწარ იციან, როდის რა ვებინარი გაიმართება. ამით თავიდან ავიცილეთ პროცესის სპონტანურობა.

ვებინარებისა და დისკუსიების მომზადების პროცესი მკაცრად ორგანიზებულია. ყველა თანამშრომელს მიეცა ნათელი დავალება. დანარჩენი კი უკვე სპორტულ ენაზე, რომ ვთქვათ, კლასის საქმეა. ამის ნაკლებობას კი არცერთი ჩვენი თანამშრომელი არ განიცდის.

ამას კიდევ ემატება ჟურნალ „მასწავლებლის“ მიერ მობილიზებული ძველი და ახალი რესურსების გაზიარება/გააქტიურება მასწავლებლებისთვის – მართლა ძალიან ბევრი კარგი გამოცდილებაა, რესურსით სახით, თავმოყრილი ჟურნალში, ანუ ჟურნალი „მასწავლებელი“, რესურსებითა და ჩვენ მიერ შეთავაზებული ვებინარებით, ეხმარება მასწავლებლებს, თავი გაართვან მათთვის უჩვეულო სიტუაციას. ცნობისთვის, ჟურნალ „მასწავლებლის“ ონლაინ ვერსიას მილიონამდე ნახვა აქვს!

პროცესმა გვაჩვენა, რომ ონლაინ რეჟიმში ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ მასწავლებლებთან და, ბუნებრივია, ტრენინგებსაც ამ პირობებში გავაგრძელებთ, ვიდრე ასეთ რეჟიმში გაგრძელდება ცხოვრება. შესაძლოა, შემდგომშიც ვიფიქროთ ამ ფორმატის შენარჩუნებაზე და ტრენინგების უმეტესობა სწორედ ონლაინ ჩავატაროთ. ამას ბევრი პლუსი აქვს, ჯერ ერთი, სახელმწიფოს უფრო ნაკლები უჯდება ეს ყველაფერი. ჩვენი ცენტრის თანამშრომლები, ჩემი ჩათვლით (ბუნებრივია, მე – დირექტორების ნაწილში), ტრენინგებს საკუთარი რესურსით ჩავატარებთ, ვიდრე ეს ადამიანური რესურსი საკმარისი იქნება, რადგან ადამიანური რესურსიც ხომ ამოწურვადია. მაგალითად, დიდაქტიკაში, ჩვენ გვყავს რამდენიმე კარგი სპეციალისტი, ქართულში – ოთხი-ხუთი სპეციალისტი და ა.შ. ცენტრმა ამის აუდიტი გააკეთა და ზუსტი ციფრებით დავადგინეთ, ვინ რისი სპეციალისტია, რომ ამგვარი კრიზისული მდგომარეობის დროს, როცა აღარ გვაქვს შესაძლებლობა, ამდენი ტრენერი დავიქირავოთ ან ვატაროთ რაიონიდან რაიონში, საკუთარი ძალებით გავუძღვეთ საქმეს.

ამ რთულ პერიოდში მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, გარკვეულწილად, შეფერხდა თუ არა? რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართულებით?

➡ არ შეფერხებულა, რადგან გარდა ამ ვებინარებისა, ჩვენ გვაქვს მილენიუმის მიერ მომზადებული ძალიან კარგი პროგრამა მასწავლებლებისთვის. ასევე, ვაპირებთ გავაგრძელოთ ტრენინგები, ßრომლებსაც ადრე ვატარებდით მათი პროფესიული განვითარებისთვის. თუ ადრე მასწავლებლის სახლი, ძირითადად, ტრენინგებს სთავაზობდა მასწავლებლებს, ახლა ამას ვებინარები და სადისკუსიო შეხვედრებიც დაემატა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა ცენტრმა, ამ პირობებში, კიდევ უფრო მეტად შეძლო. დღეს, სხვათა შორის, დირექტორების სადისკუსიო შეხვედრა გვაქვს და მიხეილ გიორგაძე და ვარდენ ნიქაბაძე, ქუთაისის 30-ე და ფარცხანაყანების სკოლის დირექტორები ატარებენ ამ შეხვედრას, სადაც მე, როგორც ფასილიტატორი, ისე ვიქნები ჩართული. ცენტრის თანამშრომლები ტრენინგებშიც მიიღებენ მონაწილეობას და ფასილიტატორებიც იქნებიან.

ახლა ამ ელექტრონულმა სამყარომ გაგვაერთიანა ისე, როგორც არასდროს – დღეს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვინც კი ჩაერთვება დისკუსიაში, გაიგებს რა ხდება ფარცხანაყანების სკოლაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გამოწვევა ჩვენთვის უფრო მეტად შესაძლებლობა აღმოჩნდა, ვიდრე შემაფერხებელი ფაქტორი.

გამოიკვეთა თუ არა, დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესში, ტექნოლოგიების გამოყენება, უმეტეს შემთხვევაში, როგორც მასწავლებლის ყველაზე სუსტი მხარე?

➡ ცხადია, ტექნოლოგიების მიმართულებით პრობლემები არსებობს და, რა თქმა უნდა, მეტის გაკეთება გვჭირდება. ამიტომ, ჩვენ ის ქოუჩები, რომლებიც „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში არიან დაქირავებული, გადავამზადეთ თიმსის გამოყენების კუთხით, ჩავუტარეთ ტერენინგები – ხვალინდელი დღე ეს არის. ტექნოლოგიები გემოვნების საკითხი კი არა, ობიექტური რეალობაა, ახალი რეალობა, რომელშიც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და რომელზეც დგას რეალურად თანამედროვე განათლება. ეს არის შესაძლებლობა და არა გამოწვევა. ფარცხანაყანების სკოლაში რომ რაღაც კეთდება, ეს, ბუნებრივია, უნდა ვიცოდეთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ძალიან დაბალი თანამშრომლობითი კულტურა. სწორედ ამ დაბალი თანამშრომლობითი კულტურის წამლად მოგვევლინა ახლა ასეთი ვებინარები, ასეთი სადისკუსიო ჩართვები ერთმანეთთან. მოგვევლინა შეაძლებლობად, რომ გავიგოთ, რა ხდება ჩვენს მეზობელ სკოლებში და მერე გადმოვიღოთ, გავიზიაროთ და ჩვენც დავნერგოთ ჩვენს სკოლებში.

თუმცა, რასაკვირველია, ძალიან რთული იქნება, გარკვეულ პერიოდში, გარკვეული ადამიანებისთვის ამ რელსებზე გადაწყობა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ნელ-ნელა ამას შევძლებთ. 71 წლის დედაჩემი ფიზიკის მასწავლებელია. მან გააპროტესტა ონლაინ სწავლება, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ არავითარი ალტერნატივის შეთავაზებას არ ვაპირებდი, შეეგუა სიტუაციას და ახლა დადის მეზობელ ახალგაზრდა გოგონასთან, რომელმაც ტექნოლოგიების გამოყენება ასწავლა. ახლა ისე მოსწონს, რომ სკუთარი კომპიუტერის შეძენასაც აპირებს. რაც მთავარია, მიხვდა, რომ ეს არის რეალობა, თუმცა, ბუნებრივია, 40-45 წელი რომ მიჩვეული ხარ სწავლების სულ სხვაგვარ მეთოდებს, ახლა თავდაჯერებულად ვერ გრძნობ თავს და ერთ ღამეში ამ ცვლილების განხორციელება გაგიჭირდება. ამიტომ უნდა ამოვუდგეთ მხარში ამ მასწავლებლებს. ბუნებრივია, მასწავლებლის სახლის ყველა ინიციატივა მათ მხარდასაჭერადაა მიმართული. აუცილებლად სჭირდებათ მხარდაჭერა, რადგან ახლა, ზოგჯერ, ახალგაზრდებსაც უჭირთ სწრაფად ტექნოლოგიებით სწავლების ათვისება, არ ათუ ასაკოვან მასწავლებლებს, თორემ ტექნოლოგიების მიმართულება რომ უნდა გავაძლიეროთ, ამაზე ისედაც ყველა ვთანხმდებით.

მასწავლებლის სახლში პროექტის „ჩხირკედელა“ წამოწყება სწორედ ამისკენაა მიმართული. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია – ამ საგნების მეტი პოპულარიზაცია და განვითარება განათლების სფეროსთვის პრიორიტეტულია. „ჩხირკედელაში“ ფიზიკის ლაბორატორია უკვე გვაქვს და ახლა გვინდა, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებიც გავმართოთ. ზუსტად ამ ვირტუალური ლაბორატორიებითა და ტექნოლოგიების ჩართულობით უნდა ასწავლოს თანამედროვე მასწავლებელმა სკოლაში, რადგან თანამედროვე ბავშვს სხვაგვარად სკოლაში ვერ მოიზიდავ? წარმოიდგინეთ, ახლა რომ ბავშვს უთხრა: გადავშალოთ 35-ე გვერდზე წიგნი... ეს ღრმა წარსულია. ახლა მოსწავლეს, ამის ნაცვლად, უნდა შესთავაზო მოიძიოს ინფორმაცია რამე კონკრეტულ თემაზე, მერე სკანირება გააკეთოს და ეკრანზე გამოაჩინოს. ამ ენით უნდა ვისუბროთ და ცდებიც ასე უნდა წარვმართოთ მათთან. სხვაგვარად, კიდევ გავიმეორებ, ობიექტური რეალობისგან შორს ვიქნებით, წარსულში დარჩენილები.

აქედან გამომდინარე, ახლა მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესში კიდევ უფრო მეტად გაკეთდება აქცენტები ისტ უნარებზე?

➡ აუცილებლად, ახალი რეგულირების წესი რომ დამტკიცდება (იმედია, ამ თვის ბოლომდე), პირველ რიგში, შევეცდებით,

ინტერვიუ ბერიკა შუკაკიძესთან

მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოვახერხოთ აუდიტის ჩატარება და იმის დადგენა, თუ რამდენ მასწავლებელს აქვს საკმარისი ისტ უნარები, რომ თანამედროვე საგაკვეთილო პროცესი წარმართოს. მათ, ვისაც დასჭირდება, შემდეგ, აუცილებლად მიზნობრივად გადავამზადებთ.

✓ როგორც ამგოგთ ახალი რეგულირების წესი მალე დამტკიცდება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ახალი სასწავლო წლიდან, წამყვანი და უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლები კარიერულ წინსვლას ახალი წესის მიხედვით შეძლებენ?

➪ უახლოეს პერიოდში აუცილებლად დამტკიცდება რეგულირების წესი, რადგან ადრინდელ ვერსიაში გამოტოვებული იყო სპეცმასწავლებელი, არ გვინდოდა ახლაც ასე მომხდარიყო – მასწავლებელი არის მასწავლებელი. მეტიც, სპეცმასწავლებელს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნევ იმ თვალსაზრისით, რომ მოწყვლად ჯგუფთან უწევს სასწავლო პროცესის წარმართვა. სამწუხაროდ, დღეს კიდევ უფრო იზრდება სსსმ ბავშვების პოპულაცია, მით უფრო ასეთ პირობებში, ახლა მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ სპეცმასწავლებელზე. ამიტომ მათი გამოტოვება სქემიდან არასწორი იქნება. პირადად ეკა დგებუაძის მოსაზრება იყო, რომ სპეცმასწავლებლები აუცილებლად ჩართულიყვნენ სქემაში. ბუნებრივია, ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და ახლა ამაზე მიდის გადაწყობა. იმედია, თვის ბოლომდე, სქემა დამტკიცდება.

✓ დაბოლოს, ძალიან მოკლედ რომ შეაფასოთ – როგორ წარმოაჩინეს ჩვენმა მასწავლებლებმა თავი ამ კრიზისულ სიტუაციაში?

➪ სხვათა შორის, ბევრის გასაკვირად, ჩვენი მასწავლებლები თავს კარგად ართმევენ დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესებს და, ზოგადად, იშვიათად იპოვით დღეს მასწავლებლით უკმაყოფილო ადამიანს. ეს არ ეხება მხოლოდ დედაქალაქის ან დიდი ქალაქების სკოლების პედაგოგებს, რაიონშიც მიწევს ჩასვლა და კარგად ვიცნობ ვითარებას – მასწავლებლების უმეტესობამ ისე მოინდომა, რომ მართლა გადააჭარბა იმ ცუდ მოლოდინს, რაც სკეპტიკურად განწყობილ საზოგადოებას ჰქონდა. ბუნებრივია, როცა მხარდაჭერას გრძნობენ სამინისტროსგანაც – ხელფასებმა მოიმატა, პენსიაში გასული მასწავლებლები დააფასეს, არავინ არის ჩასაფრებულ პოზიციაში, ასე ვთქვათ „გამოჭერაზე“, პირიქით, ყველა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, – ასეთ გარემოში ადამიანები ადეკვატურად იქცევიან და აჩვენეს კიდეც ეს მასწავლებლებმა.

ვერავინ დაასახელებს ქვეყანას, სადაც 100 პროცენტით ასრულებენ ადამიანები მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ, ძალიან მიხარია, რომ ის ცუდი მოლოდინები, რომელიც საზოგადოების ნაწილში მაინც არსებობდა, არ გამართლდა. ყველაფერი პირიქით მოხდა. ნეტავ, განახათ როგორი ხალისით ატარებენ გაკვეთილებს და, რაც მთავარია, თანამშრომლობის/გაზიარების/კოლეგიალობის საოცარი მუხტი გაჩნდა. საერთოდ, ეს ფსიქოლოგიური მომენტია, გაჭირვების დროს ადამიანები უფრო შეიკვრებიან ხოლმე და უფრო უფრთხილდებიან ერთმანეთს – ასეთი თანადგომის და თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი აჩვენეს მასწავლებლებმა, რაც, თავისთავად, საქმეშიც გამოჩნდა, ეს ყველაზე კარგია, რაც მოხდა.

ბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მასწავლებლებს ასეთი ორგანიზებულობისთვის, საკუთარი საქმის ერთგულებისა და გამოჩენილი მაღალი სამოქალაქო და პროფესიული პასუხისმგებლობისთვის. მინდა დავარწმუნო, რომ მასწავლებლის სახლის თითოეული თანამშრომელი მაქსიმუმს გააკეთებს მათ მხარდასაჭერად!

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

დისტანციური სწავლება

მოგვეცა შესაძლებლობა, მაქსიმალურად შევიცნოთ საკუთარი თავი



დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ მასწავლებლებს ონლაინ სწავლების გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. დღეს თბილისის 175-ე საჯარო სკოლის პედაგოგები გვესაუბრებიან იმაზე, თუ როგორ გაართვეს თავი ახალ გამოწვევებს და ექსტრემალურ ვითარებაში მიღებულ გამოცდილებასაც გაგვიზიარებენ.

თეონა მოდებაძე
ინგლისური ენის მასწავლებელი

მსოფლიოში არსებულმა სიტუაციამ ყველა ჩვენგანი სხვადასხვა ტიპის გამოწვევის წინაშე დააყენა. ადამიანებს მოგვიწია ყოველდღიურობის მოდელირება, რაც მთელ რიგ პროფესიულ საქმიანობასაც შეეხო, მათ შორის, საკმაოდ მძაფრად, განათლების სფეროს. მე, როგორც პედაგოგი, იძულებული გავხდი, ფორსმაჟორში, სრულიად შემეცვლა ჩემი პროფესიული საქმიანობის რუტინა და საკლასო ოთახიდან გადავინაცვლე სახლში, გაჯეტებთან ერთად, რათა ჩემი საქმიანობა კვლავ გამეგრძელებინა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, იოლი არ ყოფილა დისტანციური სწავლების მეთოდზე გადასვლა, მით უფრო, რომ ამის გამოცდილება წინათ არ მქონია. თუმცა, ახლა,როდესაც გადავლილია ადაპტაციის პერიოდი და გავეცანი რამდენიმე ონლაინ პლატფორმას, რომლებსაც დისტანციური სწავლებისთვის წარმატებით ვიყენებ, ვფიქრობ, პრობლემები უკან მოვიტოვე.

ჩემი პროფესიული ყოველდღიურობა მოიცავს გაკვეთილების თავიდან გადაგეგმვას, რადგან ონლაინ გაკვეთილის დრო განახევრებულია, ეს კი გულისხმობს, რომ მაქსიმალურად ხარისხიანად, მოკლე დროში (25 წუთში), მოვასწრო მოსწავლეებისთვის მასალის ადეკვატურად მიწოდება, გაცნობა, გააზრება და უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების ფორმით, რაც, ვფიქრობ, აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლემ პასუხისმგებლობა იგრძნოს და მოტივაციაც აუმაღლდეს, მიეჩვიოს ავტონომიურობასა და სწავლის უნარის გამომუშავებას.

გარდა ამისა, საკლასო ოთახისგან განსხვავებით, რადგან ცოცხალი თვალით კონტაქტი ვერ მყარდება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, აუცილებელია, თითოეული გაკვეთილი იყოს თვალსაჩინოებით დატვირთული, რის გამოც ხშირად ვიყენებ PPP პრეზენტაციას ან სხვა ვიზუალურ მასალას, რის შედეგადაც გაკვეთილი გაცილებით ინტერაქტიულია და ეფექტური. ვფქირობ, ინტერაქცია არსებითად მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილი არ იყოს მოსაწყენი და უინტერესო, რომ მოსწავლეს სურვილი გაუჩნდეს, იყოს ონლაინ.

ჩემი საგანი, ინგლისური ენა, საქმეს ოდნავ მიმარტივებს იმ კუთხით, რომ მოსწავლეებს შემიძლია, დამატებით, გავუზიარო ონლაინ რესურსები, რომლებიც სახალისოდ შესასრულებელია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური სწავლება მოსწავლეებისთვის ახალი გამოწვევაა და ასევე, განსაკუთრებით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებისთვისაც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში.

დასასრულ, მიმაჩნია, რომ დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვისთვის საფუძველი დადებულია და სამომავლოდ მეტი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის მზაობა არსებობს.

ირმა ცირეკიძე
ბიოლოგიის მასწავლებელი

შექმნილმა მდგომარეობამ ყველაზე კარგად დაგვანახა სწავლა-განათლების საჭიროება. სწორედ კრიტიკულ სიტუაციაში ვლინდება ადამიანების პროფესიონალიზმი, განათლების სფერო იქნება ეს, მედიცინის თუ სხვა. შეზღუდულმა გარემო პირობებმა დააბნია არა მარტო ბავშვები, არამედ ჩვენც – მასწავლებელები. გაჩნდა კითხვა: „რა შემიძლია?“. თითქოს მოგვეცა შესაძლებლობა, მაქსიმალურად შევიცნოთ საკუთარი თავი და ჩვენს წიაღში არსებული ყველა რესურსი გამოვიყენოთ. პირადად მე და ჩემს კოლეგებს საქმე გაგვიმარტივა სკოლაში არსებულმა სქულბუქის პროგრამამ. მისი მეშვეობით, ყოველდღიური კონტაქტი გვქონდა ბავშვებთან და ასე ვაგრძელებთ დღემდე. ვაგზავნი დავალებებს და ინდივიდუალურად გავცემ უკუკავშირს. დღეს ყველაზე მეტად მივხვდი რამდენად მნიშვნელოვანია თბილი, დადებითი კომენტარი. სწორედ დღეს უფრო ღირებული გახდა სიტყვები: „საყვარელო“, „ძვირფასო“. არც ისინი აყოვნებენ: „მადლობა მასწ, რომ წაიკითხეთ ჩემი დავალება, ცოტა ბევრი იყო“ და, აუცილებლად, ბოლოს მიხატული გული. თითქოს ჩვენ შორის ურთიერთობის ახალი ხანა დაიწყო, ის ნიუანსები გამოიკვეთა, რისთვისაც სკოლის კედლებში დრო „არ გვყოფნიდა“.

დისტანციურ სწავლებას ონლაინ ჩართვებიც დაემატა, ვიყენებ თიმსის პლატფორმას. სკოლაში ძალიან ოპერატიულად შედგა ონლაინ გაკვეთილების ცხრილი, ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული. ვცდილობ, დავალებები არ იყოს მოსაწყენი და ვრცელი, რადგან ბავშვები სახლში არიან, აუცილებელი არ არის, ბევრი დავალება მივცეთ. მე, პირადად, ხშირად ვაძლევ ვიდეომასალას, წასაკითხ დავალებას. ვთხოვ, ყურადღებით მოისმინონ, წაიკითხონ და დაასკვნან. მირჩევნია დავალებამ ბევრი ფიქრისა და ანალიზის საშუალება მისცეს ბავშვს, ვიდრე კონკრეტული ცნება და განმარტება მხოლოდ ზეპირად იცოდეს.

ყველა ონლაინ გაკვეთილის წინ ვამზადებ პრეზენტაციას. თემა, შედარებით, მოცულობითია და ხშირად 1-2 პარაგრაფსაც მოიცავს. თუმცა, ეს ბავშვებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ამას წინ უძღვის გაგზავნილი დავალებები. დაგროვილი შეკითხვების და თემის ვრცელი განხილვაც სწორედ ასეთი ჩართვის დროს ხდება. დისტანციური სწავლების დროს, კარგი შედეგის მიღებისთვის, გამოიკვეთა საჭირო ჯაჭვის – მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ფუნქცია და პასუხისმგებლობა. ასეთ სტრესულ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა, მათი თანადგომა. ბევრი მოსწავლის მშობელი თვითონ მიგზავნის შვილის დავალებას. ეს ის ბავშვები არიან, ვისაც ყოველდღიურად არ აქვთ წვდომა სქულბუქთან, ვერ იყენებენ თიმსის პლატფორმას, ინტერნეტის არქონის გამო – ესეც დიდი პრობლემაა. ვფიქრობ, „ტელესკოლის“ გაკვეთილები ასეთი ბავშვებისთვის კარგი საშუალებაა. ნამდვილად არ მაქვს ილუზია, რომ დისტანციური სწავლება სრულყოფილად ჩაანაცვლებს სკოლის გაკვეთილებს (შეიძლება ითქვას, 100%-იანი შედეგი, ხშირად, არც სკოლის კედლებში მიიღწევა). ეს ყველაფერი უფრო ძალების მოსინჯვაა, რამდენად ადეკვატურად, მოწესრიგებულად და პასუხისმგებლობით გავაკეთებთ ყველა ჩვენს საქმეს. არ დავშორდებით ბავშვებს, ყველა საშუალებით დავძლევთ პროგრამას, გავზრდით მოსწავლეთა პასუხისმგებლობას სწორედ მაშინ, როცა არც „არა“ იწერება და არც განმსაზღვრელი შეფასება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კოლეგებთან თანამშრომლობა. ხშირად ვუზიარებთ გამოცდილებას კომპიუტერულ უნარებთან დაკავშირებით. დღეს ბევრი რამ ჩვენთვისაც ახალია, თუმცა რესურსიც საკმარისია, რომ უკეთ ავითვისოთ დისტანციური სწავლების ყველა პლატფორმა.

მინდა, ვუსურვო ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს ჯანმრთელობა და ემოციური მდგრადობა. ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, როცა ყველაფერი გაივლის, არ შეგვრცხვეს, რომ საკმარისად არ დავიხარჯეთ და ერთმანეთს არ გავუფრთხილდით. პირადად მე, ნამდვილად ვიცი, როცა გაკვეთილზე სიტყვა „პანდემიის“ განმარტებას დავიწყებ, ემოციებს ვერ შევიკავებ...

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

გამოცდილება

არ მისცეთ უფლება გითხრან, „მას არ შეუძლია!“

– ერთ დროს ითვლებოდა, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირების (შემდგომში – ასა) 90%-ს ინტელექტუალური განვითარების დარღვევა აქვთ. წლების განმავლობაში გავაცნობიერეთ, რომ ინტელექტის სტანდარტიზებული ტესტირება ზუსტად ვერ ასახავს ასა-ს სიმპტომების მიღმა არსებულ გონებრივ შესაძლებლობებს. ბევრმა ადამიანმა, რომლებიც შეაფასეს როგორც „დაბალ ფუნქციური“, გააოცა სამყარო უნიკალური შესაძლებლობებით, რომელიც ბევრად აღემატებოდა მოლოდინს. როგორც ჩანს, მეტყველების უნარის შეზღუდვას, ჯერ კიდევ, ვაიგივებთ დაბალ ინტელექტთან და მინიმალურ შესაძლებლობებთან. რაც, სამწუხაროდ, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ განვითარებაზე.

– ჩვენ არ ვიცით, რამდენად მოაზროვნეა აუტიზმის მქონე ბავშვი. თუ ჩვენ დავაკვირდებით ბავშვის საჭიროებებს, მის ამჟამინდელ კომუნიკაციის მეთოდს და გამოვიყენებთ მის ძლიერ მხარეებს,დავინახავთ, რომ მას შეუძლია შეზღუდვების გადალახვა, გაზრდა და განვითარება. გაიგეთ მათი სწავლის სტილი, როგორ ამყარებენ ურთიერთობას და გამოიყენეთ მათი ინტერესები მოტივაციის ასამაღლებლად. და რაც მთავარია, დაისახეთ მაღალი მიზნები რეალისტური მოკლევადიანი მიზნებით. არ თქვათ: „მას არ შეუძლია და ის ვერასდროს გააკეთებს ამას“, თქვით: „მან არ იცის, მაგრამ შეუძლია ისწავლოს მხარდაჭერით“.

– არ დაუშვათ, რომ პროფესიონალურმა ტესტირებამ შეამციროს თქვენი მოლოდინები. თუ ბავშვი ვერ სწავლობს, შეცვალეთ სწავლების მეთოდები. ნუ ირწმუნებთ, რომ ბავშვი ვერ სწავლობს, იფიქრეთ, რომ ჩვენ უნდა ვასწავლოთ განსხვავებულად. იმის გამო, რომ ბავშვს არ აქვს განვითარებული გარკვეული უნარები, ნუ გამორიცხავთ მას განსაზღვრული აქტივობებიდან. მიეცით მონაწილეობის შესაძლებლობა და გაუწიეთ საჭირო მხარდაჭერა წარმატების მისაღწევად. მიეცით მათ იგივე შესაძლებლობები, როგორც ნებისმიერ ბავშვს. აუტიზმის მქონე ბავშვებს ჩვენი დაბალი მოლოდინები იმაზე მეტად ხევენ უკან, ვიდრე მათი შეზღუდული შესაძლებლობები. დაეხმარეთ მათ შესაძლებლობების განვითარებაში. გაუწიეთ ფასილიტირება და ნუ მოახდენთ იზოლირებას. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათგან იმდენი, რამდენიც საჭიროა მათი სწავლებისთვის.

ნინო კაპერსკი
სსსმ მოსწავლეების ინგლისური ენის მასწავლებელი

აქტუალური კითხვა

როგორ შევაფასოთ მოსწავლეები?

რამდენიმე დღის წინ პრემიერმა გამოაცხადა, რომ სწავლა სკოლებში პირველ სექტემბრამდე აღარ განახლდება და სასწავლო წლის დასრულება ონლაინ რეჟიმში მოგვიწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო გახდება მოსწავლეთა შეფასება. თავიდან, როცა ონლაინ სწავლებაზე გადავდიოდით, მინისტრის მოადგილემ, ეკა დგებუაძემ განაცხადა, რომ მოსწავლეები არ შეფასდებოდნენ, მაგრამ სასწავლო წლის ონლაინ ფორმატში დასრულების გადაწყვეტილებამ რეალობა შეცვალა და მასწავლებლები კიდევ ახალი გამოწვევის წინაშე დაყენა. ახლა მასწავლებლებში აქტუალური გახდა კითხვა – როგორ შევაფასოთ მოსწავლე, ჩვენთვის კი – არიან თუ არა მასწავლებლები მზად დისტანციური შეფასებებისთვის? კოლეგებს დისტანციური შეფასებების შესახებ საკუთარ გამოცდილებას უზიარებს ქიმიის დოქტორი, მენტორი მასწავლებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ასოციაცია-ბიოს“ დამფუძნებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს „ათეულის კლუბის წევრი“ ხათუნა გოგალაძე.

ქალბატონო ხათუნა, უკვე ვიცით, რომ სწავლა სკოლებში სექტემბრამდე აღარ განახლდება, ამიტომ ახლა აქტუალური გახდება შეფასებები, თუ მიმართა სამინისტრომ მასწავლებლებს ოფიციალურად, ამასთან დაკავშირებით?

➡ მოგეხსენებათ, COVID-19-ის გამოწვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განათლების სამინისტრომ და მართლა მაღალი პასუხისმგებლობით ჩაერთო დისტანციური სწავლების პროცესში სკოლებისა თუ მასწავლებლების უმრავლესობა. დასაფასებელია ისიც, რომ სამინისტროს მხრიდან, გარკვეულწილად, მოხერხდა დისტანციურ პროცესზე დაკვირვება, რის საფუძველზეც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აკადემიური წელი არ გამოცხადდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ გამოწვევასთან დაკავშირებული დაბრკოლებები და ხარვეზები არ არსებობს. ბუნებრივია, არსებობს.

რაც შეეხება შეფასებებს, სასკოლო სივრცეში და არა მხოლოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული, არის განმსაზღვრელი შეფასების აუცილებლობა, რომელიც მოსწავლის კლასიდან კლასში გადასვლას უზრუნველყოფს. თუმცა, სწავლების პროცესში მნიშვნელოვან წილს იკავებს განმავითარებელი შეფასება. სამინისტროს რეკომენდაციით, შემდგომ სასწავლო წლებში, განმავითარებელი შეფასება მნიშვნელოვანი რგოლი იქნება სწავლების პროცესში და, შესაძლებელია, გადამწყვეტიც.

როგორ შევაფასოთ მოსწავლეები? გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება კოლეგებს.

➡ როგორ შევაფასოთ მოსწავლეები? – დღეს ეს მართლა აქტუალური კითხვაა მასწავლებლებს შორის. ზოგადად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სკოლებს, კერძოდ, მასწავლებლებს არ მიგვიღია, თუმცა, სამინისტროდან ყოველთვის იყო რეკომენდაცია, სწავლების პროცესში გამოგვეყენებინა განმავითარებელი შეფასება.

მოგეხსენებათ, არის ქვეყნები, სადაც მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით ფასდება მოსწავლე თუ სტუდენტი ამა თუ იმ საფეხურზე, თუმცა, ამ შემთხვევაში, არსებობს შეფასების გაწერილი რუბრიკა. მიმაჩნია, რომ შესაძლებელია შეფასების რუბრიკების გამოყენება. მასწავლებლები, დღეს, ძალიან კარგად იცნობენ ამ შეფასების რუბრიკებს. ვიდრე ოფიციალური რეკომენდაციები მოვა სკოლებში, აუცილებელია, ამა თუ იმ აქტივობის ან კონკრეტული თემის შეჯამება გაწერილი იყოს რუბრიკით. თუმცა, როგორი ტიპის აქტივობა დაიგეგმოს, ეს აუცილებლად კარგად მოსაფიქრებელია. განმავითარებელი შეფასება, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, ერთგვარად, მჭიდრო კომუნიკაციას ამყარებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სწავლების პროცესში. დისტანციური სწავლების აკრედიტებულ უნივერსიტეტებსა თუ სასწავლებლებს ძალიან კარგი სამართავი სისტემა აქვთ. სტუდენტი ან კურსის მსმენელი დისტანციურად აბარებს გამოცდას ისე, რომ შესაძლებელია ზუსტად განისაზღვროს როგორც მისი საგნობრივი კომპეტენცია, ასევე უნარები. საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასაც აქვს მსგავსი პროგრამები. ეს პროცესი, დღეს, სასკოლო სივრცეში რთულად მიდის, რადგან მთავარი პრობლემა მაინც უკავშირდება არა მარტო პროგრამულ გამართულობას, არამედ ტექნიკურ აღჭურვილობასა და მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს. ამას კიდევ ემატება საქართველოს ის რეგიონები, სადაც საერთოდ ჭირს ინტერნეტით მუშაობა.

მასწავლებლებს ვურჩევ, გამოიყენონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მხოლოდ წერითი ტესტური დავალების ჭრილში არ სრულდება. მათ შორის, შესაძლებელია, ნებისმიერ საგანში, მოსწავლეებს მიეწოდოს **შეფასების რუბრიკით განსაზღვრული გეგმა**: კვლევის, ექსპერიმენტის, პროექტის, პრეზენტაციის, რეფერატის, ესესა თუ ჩანახატის. აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული შესრულების ვადები.

მოგეხსენებათ, რომ დასავლეთის ქვეყნების სწავლების ძირითადი ფორმატი ინტეგრირებული და ორიენტირებულია იმაზე, რომ სწავლების პროცესში მოსწავლეებს სხვადასხვა უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეთ. **თუ მასწავლებლები საგნებს შორის, გარკვეულ თემებში, შეძლებენ გადაკვეთასა და ინტეგრირებას, ეს იქნება სრულფასოვანი ფორმატი**. ამ ტიპის დავალების შესრულებისას შესაძლებელია მოსწავლის შეფასება. თუ სამინისტრო მოგვცემს სათანადო რეკომენდაციას განმსაზღვრელი შეფასების აუცილებლობის შესახებ, შემდგომ შეიძლება ეს შეფასებაც გამოვიყენოთ.

ასევე შესაძლებელია, მოსწავლეებს მივცეთ დავალება, რომ კონკრეტულ საგანში გარკვეული ელექტრონული რესურსი შექმნან. თუმცა, მათი შრომა გათვლილი უნდა იყოს შეფასების რუბრიკის მიხედვით. იდეალური ვარიანტია, როდესაც მოსწავლე ინტერნეტით უზრუნველყოფილია და ადვილად შეუძლია მსგავსი დავალების შესრულება.

ყველაზე მნიშვნელოვანია, ნებისმიერი დავალება გათვლილი იყოს ესგ-სა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, განსაზღვრული იყოს დავალების შესრულების გონივრული ვადა და მოსწავლე ინფორმირებული იყოს ამ დავალების შეფასების რუბრიკის შესახებ.

საინტერესოა, ასევე, შეფასების ნაწილში თუ ფიგურირებს „ტელესკოლა“ რაიმე სახით ან თუ არსებობს გმა დისტანციურ გაკვეთილსა და ტელეგაკვეთილს შორის (თუ ტელეგაკვეთილის მოსმენა/არმოსმენა ნებაყოფლობით საწყისებზეა)?

➡ „ტელესკოლის“ მოდელი ძალიან კარგი საშუალებაა, რომ მოსწავლეებამდე მივიდეს ის მნიშვნელოვანი მასალა, რისი დანაკარგიც არსებობს დღეს. თუმცა, მასწავლებლებისთვის, რომლებიც, თავის კლასთან, დაბრკოლების გარეშე ატარებენ გაკვეთილებს დისტანციური სწავლების რეჟიმში, ტელეგაკვეთილი ისეთივე დამხმარე რესურსი იქნება, როგორიც არის სახელმძღვანელო, ვიდეოჩანაწერი ან ნებისმიერი საინტერესო მასალა ენციკლოპედიიდან. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მოსწავლე ორიენტირებულია ჩემ მიერ მიწოდებულ მასალაზე, თუმცა, ის შეზღუდული არ არის და სხვა დამხმარე რესურსის გამოყენებაც შეუძლია, მათ შორის „ტელესკოლის“ გაკვეთილებისაც. ამ ეტაპისთვის, თემატურად, სხვადასხვა კლასში ეს მასალები ზუსტად არ ემთხვევა, მაგრამ „ტელესკოლის“ ვებგვერდზე ყველა გაკვეთილი ინახება სამომავლოდ, რაც, თავისთავად, ძალიან კარგი რესურსია. აღვნიშნავ იმასაც, რომ არის სკოლები, რომლებისთვისაც ტელეგადაცემები არა თუ მნიშვნელოვანი რესურსია, არამედ,ზოგ შემთხვევაში, ‚‚სასიცოცხლოც“ კი.

სამინისტრომ შექმნა საიტი – https://tvschool.ge/, რაც მასწავლებლებისთვის აადვილებს აადვილებს მოსწავლეების შეფასებას (მაგ.: დახურულ 10-კითხვიანი ქვიზები). ვფიქრობ, ჯერჯერობით, ეს ალტერნატიული შეფასების საშუალებაა. მასწავლებელი რეგისტრირდება საიტზე და მოსწავლეებს უგზავნის სავარჯიშოს არჩეული თემიდან, მოსწავლეც რეგისტრირდება საიტზე, ასრულებს დავალებას და წამიერად ნახულობს უკუკავშირს. ამ ინფორმაციაზე კი, მის მასწავლებელსაც აქვს წვდომა. ვფიქრობ, მასწავლებლებმა ეს შესაძლებლობაც უნდა გამოიყენონ.

შეფასებისას, შესაძლებელია, მასწავლებლებმა შექმნან ანალოგიური ქვიზები სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე, მათ შორის classroom-სა თუ Microsoft Teams-ში.

ქალბატონო ხათუნა, ძალიან საინტერესოა, ასევე, როგორ უნდა შეაფასონ მასწავლებლებმა ის ბავშვები, რომლებსაც, დაბალი ხელმისაწვდომობის გამო, უბრალოდ არ უტარდებათ ონლაინ გაკვეთილები ან არაძართულენოვანი სკოლების მოსწავლეები, რომლებისთვისაც ყველა საგნის გაკვეთილი „ტელესკოლითაც“ კი არ არის ხელმისაწვდომი?

➡ ვფიქრობ, ამ საკითხზე აქტიურად უნდა იმუშაოს არა მარტო განათლების სამინისტრომ, არამედ არასამთავრობო სექტორმაც. მნიშვნელოვანია ყველა განათლების სპეციალისტის ხედვის განხილვა და გადაფასება. უნდა შემუშავდეს ალტერნატიული შეფასების სქემები. მოგეხსენებათ, რომ სკოლები, მოსწავლე კლასიდან კლასში რომ გადავიდეს, იყენებენ საშემოდგომო თუ ექსტერნის გამოცდებს. ამ ეტაპისთვისაც, ვფიქრობ, ალტერნატიული შეფასების სქემა უნდა მოიძებნოს იმ მასალაზე დაყრდნობით, რისი გავლისა და ათვისების საშუალებაც აქვს მოსწავლეს, რომ სწავლების შესაბამისი საფეხური გადალახოს.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს არასამთავრობო ორგანიზაციაში (ასოციაცია-ბიო), წლებია, საინტერესო რესურსებით ვეხმარებით მასწავლებლებს, ვქმნით და ვუზიარებთ მნიშვნელოვან დამხმარე მასალას, ვაძლევთ რეკომენდაციებს, რაც უადვილებთ, სწავლების პროცესში იყვნენ მუდმივად აქტიურნი. დამწყებ მასწავლებლებს მეთოდოლოგიურად ვეხმარებით. ვთვლი, რომ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებაც და სახელმწიფოს მხრიდან მათი წახალისება თუ მხარდაჭერა.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

პროფესიული განათლება

პირველი ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის ავტორიზაცია

ლალი ჯელაძე

გუშინ ცნობილი გახდა, რომ „ახალი ტალღა“ პირველი კოლეჯია, რომელმაც ავტორიზაციის საბჭოს მიერ ინტეგრირებულ პროგრამაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ კოლეჯი განახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლება. გადაწყვეტილების შედეგად *„...კოლეჯში შესაძლებელია, პროფესიასთან ერთად, ზოგადი განათლების მიღება, 9 კლასის დასრულების შემდეგ. ასევე ეს იყო პირველი ადმინისტრაციული წარმოება ახალი სტანდარტების საფუძველზე. ვულოცავ კოლეჯ „ახალ ტალღას“ ამ წარმატებას, მადლობა საბჭოს, ექსპერტებს, ცენტრს და ვულოცავ ყველას, ვინც ახალგაზრდებისათვის ამ შესაძლებლობის მისაცემად უდიდესი შრომა გასწია! ვულოცავ განათლების სისტემას წლების განმავლობაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხის ფაქტობრივად აღმოფხვრას!“* - ასე გამოეხმაურა კახა ერაძე საკუთარ ფეისბუქგვერდზე „ახალი ტალღის“ ინტეგრირებული პროგრამის ავტორიზაციას.

კოლეჯის დირექტორის მოადგილე **კახა ბოლქვაძე** კი ამბობს, რომ პილოტირებაში ჩართულ კოლეჯებს შორის პირველები აღმოჩნდნენ და კომპიუტერული ქსელის და სისტემების ინტეგრირებული პროგრამის ავტორიზება მიიღეს, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ საქართველოში პირველი ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების ისტორია „ახალ ტალღაში“ დაიწყო. თუმცა, კოლეჯი ამით არ წყვეტს ინტეგრირებული პროგრამების ავტორიზაციის პროცესს და წელსვე შეეცდებიან კიდევ ორი პროგრამის დამატებას, ეს პროგრამებია: სასტუმროს მენეჯმენტი და სარესტორნო მომსახეურება.

კახა ბოლქვაძე: *„ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან ამით სახელმწიფომ შანსი მისცა ცხრაკლასდამთავრებულებს, დაეუფლონ როგორც პროფესიულ პროგრამებს, ასევე სრულ საშუალო გაანთლებას. აღნიშნულ პროგრამაზე აქამდეც ვიყავით ავტორიზებული, თუმცა სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთვარებული მხოლოდ პროფესიულ დიპლომს იღებდა. აქედან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაში, ის ვერ შეძლებდა სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძლებას, ანუ მას რეალურად ჩაკეტილი ჰქონდა უმაღლესისკენ მიმავალი გზა. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, ეს გზა გაეხსნებათ.*

ავტორიზაციის მისაღებად, ბუნებრივია, მოგვიწია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა დეტალის გათვალისწინება და ახალი მიდგომების განხორციელება. მაგალითად, ინტეგრირებული მიდგომით, პროგრამას დავამატეთ ზოგადი მოდულები, რომელიც პროფესიული განათლების დეპარტამენტმა და ხარისხის ცენტრმა შეიმუშავა. სწორედ ეს მოდულები აძლევს ჩვენს პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას, რომ, პროფესიულ მოდულებთან ერთად, დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რაც სავალდებულოა, მეცხრედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, მზაობის დასადასტურებლად, რომ საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი მიიღონ.

ცხადია, არსებობს ავტორიზაციის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედეთ როგორც სასწავლო მოდულების დამატების, ისე პედაგოგების შერჩევის შემთხევაში. კონკურსით შერჩეული პედაგოგების უმეტესობა სკოლის პედაგოგია.“

ავტორიზაციის მოპოვების პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივი იყო, ამიტომ პროგრამის გავლა, ნაწილობრივ, შეზღუდვების დაწესებამდე მოესწრო, კორონავირუსით შექმნილი მდგომარეობის გამო კი, ნაწილობრივ ონლაინ რეჟიმში წარიმართა. კიდევ ორი ინტეგრირებული პროგრამის, რომელთა დამატებასაც კოლეჯი აპირებს, ავტორიზაციის პროცესი, სავარაუდოდ, სრულად ონლაინ რეჟიმში განხორციელდება. რაც შეეხება პროგრამაზე რეგისტრაციას, დირექტორის მოადგილე ამბობს, რომ: *„რადგან წელს, კოვიდ 19-ის გამო, განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნა, ზოგადად, პროცესებიც უფრო შერბილებული იქნება, რეგისტრაცია მაისის ბოლოს დაიწყება და, მინიმუმ, ორი თვე გასტანს, სწავლა კი ოქტობერში დაიწყება.“*

კითხვაზე - გაზრდის თუ არა ინტეგრირებული პროგრამების დაშვება კოლეჯში სტუდენტების რაოდენობას, კახა ბოლქვაძე ამბობს, რომ ეს უკვე მოხდა და გვიამბობს, როგორ უპრეცედენტოდ გაიზარდა მსურველთა რაოდენობა მას შემდეგ, რაც ამის შესახებ შეიტყვეს: *„პირველ ეტაპზე, შემოდგომისთვის ვაპირებდით, რომ ამ პროგრამაზე 15 პროფესიული სტუდენტი მიგვეღო. მაგრამ ჯერ ავტორიზაციის პროცესიც არ იყო დასრულებული, რომ უკვე 40 მსურველი/კანდიდატი გვყავდა. მსურველთა დიდი ნაკადია, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ წელს მხოლოდე ერთი ინტეგრირებული პროგრამა კი არა, კიდევ ორი დავამატოთ, ცხადია, ავტორიზაციის შემდეგ.“*

პროგრამების არჩევისას კი, კოლეჯმა გაითვალისწინა როგორც სტუდენტთა მოთხოვნები, ისე რეგიონის სპეციფიკა და დასაქმების შესაძლებლობები. სტუდენტთა მიღების კვოტაც, ბუნებრივია, გარკვეულ გათვლებს ეფუძნება, რადგან საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი კოლეჯიც კი, ამ გათვლების გარეშე, ბუნებრივია, ყველას ინტერესსა და მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. *„საერთო ჯამში, თუ მეტი მოთხოვნა გაჩნდა, ყველას ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგან კვოტა დამოკიდებულია ადამიანურ რესურსზეც, ინფრასტრუქტურულ რესურსზეც და ა.შ. რასაკვირველია, მსურველთა ინტერესს ვითვალისწინებთ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა ახლა იწყება და საპილოტე რეჟიმი ბევრ რამეს დაგვანახებს. მთავარი მაინც, ხარისხიან სწავლებაზე ორიენტირება და დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინებაა.“* - ამბობს კახა ბოლქვაძე.

ინტერვიუ ბუბა ხოტივართან

დედამიწა განიწმინდა იმ ნაგვისგან, რომელიც ადამიანებმა დააგროვეს

უხილავი ვირუსის მიმართ საზოგადოების ინტერესი კვლავ აქტუალურია. COVID-19 ჯერ კიდევ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რჩება. არავინ იცის, რა გამოწვევების წინაშე დააყენებს ახალი ვირუსი კაცობრიობას, რა იქნება ხვალ, პროგნოზები ნაადრევია. ფაქტი ერთია – ვირუსმა სამყარო შეცვალა.
რაზე დაგაფიქრათ კოვიდ-19-მა? – ამ ერთადერთ შეკითხვას პასუხობს ჩვენი რესპონდენტი – კინორეჟისორი ბუბა ხოტივარი.

კორონავირუსი თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას შეეხო და ბევრ რამეზე დაგვაფიქრა. შოკირებული მსოფლიო გააჩერა. დედამიწა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმია, ადამიანმა ძალიან შეაწუხა – გაუმაძღრობით, განუწყვეტელი მოთხოვნილებებით, გაუაზრებელი ქმედებებით, ბოროტებით... მისი წიაღიდან განუწყვეტელი ნავთობის ამოქაჩვა, გაზის ამოტუმბვა, წიაღისეულის მოპოვება –მეტისმეტია, რადგან ეს ყველაფერი აქვს დედამიწას, ე.ი. ეს მას სჭირდება. ჩვენ კი, ამ ყველაფერს ისე ხარბად ვიყენებთ და მოვიხმართ, რომ არც კი ვფიქრობთ მომავალზე, არ ვუფრთხილდებით გარემოს, ატმოსფეროს, ჰაერს, რომელიც სასიცოცხლოდ ასე გვჭირდება... ჩვენივე გაუფრთხილებლობით ვწამლავთ და ვაბინძურებთ სამყაროს, ჩვენივე დაუდევრობით ვაავადებთ მილიონობით ადამიანს, უდიდეს დანაშაულს ჩავდივართ დედამიწის და კაცობრიობის წინაშე.

100 წლის წინ, ნიკოლა ტესლას შემოთავაზებული გზით რომ წასულიყო კაცობრიობა და ყველაფერი შიდაწვის ძრავაზე არ გადასულიყო, გარემო ასე არ დაბინძურდებოდა და არ აღმოვჩნდებოდით ამ საშინელი რეალობის წინაშე. მზის და ქარის ენერგიის მოხმარება-გამოყენება, ეკოლოგიური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო კარგ შედეგებს მოგვცემდა. აუცილებლად უნდ ჩანაცვლდეს ნავთობი და გაზი მზის ენერგიით. კაცობრიობა ელექტრომობილების მოხმარებაზე უნდა გადავიდეს. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მზის და ქარის ენერგია.

მაფიქრებს ის, რომ დედამიწაზე სამართლიანობა არ არის, ყველაფრის არასწორი გადანაწილებაა. დაუფასებელია ადამიანების შრომა. ვიღაცას უფასდება იმაზე მეტად, ვიდრე იმსახურებს, ვიღაცას კი, ის მცირედიც არ აქვს, რისი ღირსიც არის. ადამიანები ისწრაფვიან გამდიდრებისკენ, განდიდებისკენ... არადა, მნიშვნელობა აღარ აქვს არც შენს სტატუსს და არც ქონებას. ადამიანებს ნაკლები მატერიალური მოთხოვნილებები რომ ჰქონდეთ და მეტი სულიერება, ბუნება ასე არ დაგვსჯიდა. ბევრი რამ გადასახედი და შესაცვლელია.

ჩვენი ქვეყნისთვის მიწათმოქმედების განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ქვეყანაში უმაღლესი ხარისხის ხილის, ბოსტნეულის მოყვანა და წარმოებაა შესაძლებელი. საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. გვაქვს უმაღლესი ხარისხის მინერალური თუ წყაროს წყლები, რასაც სათანადოდ დაცვა, მოვლა-პატრონობა და გამოყენება სჭირდება. საქართველოს ყველა კუთხე, მისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობებითა და მცენარეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა – სვანეთი, არაგვისხეობა, რაჭა, აჭარა... მდიდარია სასარგებლო ბუნებრივი რესურსებით. ამ უმძიმეს პერიოდში, ხედავთ, რა მოხდა, ხალხი თავის მამულებს დაუბრუნდა. სოფლებში მრავალი წლის წინ დაკეტილი კარი გაიღო. ადამიანებმა თოხი და ბარი აიღეს ხელში და მიწის ხვნა-დამუშავებას მიჰყვეს ხელი. არამც და არამც, სოფელი არ უნდა დავაკნინოთ, პირიქით, მეტი ხელშეწყობაა საჭირო.

ყოველ წუთს გვესმის, რომ ჩვენ ვართ ცეკვის, სიმღერის, ტაშ-ფანდურისა და ჰარი-ჰარალეს ერი – დიახ, ვართ! მაგრამ ჩვენ, ამავდროულად, გვყავს ძალიან კარგი, მსოფლიო დონის ექიმები, მეცნიერები, ისტორიკოსები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები... სიტუაციამ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენმა ექიმებმა შეძლეს ის, რაც სხვა, ჩვენზე ბევრად განვითარებულმა სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს. ძალიან მიხარია, ქართველი ექიმების წარმატება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მათ ჩვენი ერი გადაარჩინეს. მეტი დაფასება და პატივისცემა სჭირდებათ ქართველ ექიმებს.

ყველაზე მთავარი, მორალური მიდგომაა. ადამიანმა არ უნდა იფიქროს და მით უმეტეს არ იტრაბახოს, რომ მსოფლიოს ბატონ-პატრონია, სამყაროს მბრძანებელი, რომელსაც კოსმოსის დაპყრობა შეუძლია, არაფრის ეშინია... და აი, ხედავთ, გამოჩნდა ერთი პატარა ვირუსი და მთელი კაცობრიობა შეშინებული შეძვრა სოროში. ე.ი. რა გამოდის? შენ არაფერიც არ ხარ! დამოკიდებული ხარ ბუნებაზე და, პირველ რიგში, ღმერთზე. თუ კი შენ ღირსეულად მოიქცევი, გეყვარება შენი მიწა, სამშობლო, ადამიანები... და თუ არ იქნები აგრესიული, ბოროტი და ბილწსიტყვაობას ამოიღებ საკუთარი ლექსიკონიდან, სამყარო იქნება გაცილებით უკეთესი, ვიდრე დღეს არის. ბილწსიტყვაობა, ანუ სკაბრეზი არის შხამი, იგივე ვირუსი, ბევრად უფრო საშიში, ვიდრე ნებისმიერი ბოროტი ინფექცია. მოზარდებზე დიდ გავლენას ახდენს აგრესიული ფილმები, მულტფილმები, სადაც არის ჩაგვრა, აგრესია, დაცინვა, ბილწსიტყვაობა. არ შეიძლება ხელოვნების ასე დამახინჯება, ის როგორც კი სცდება თავის დანიშნულებას, მაშინვე ვიღებთ უკუშედეგს.

ანუ, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, მეწაღემ წაღები შეკეროს... ყველამ თავისი საქმე აკეთოს და დაფასდეს. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა, რომ ზნეობის გარეშე არ არსებობს საზოგადოება, ვერ ვითარდება – იღუპება.

დედამიწა ძალიან შეწუხდა ადამიანებით. დაპაუზდა. დაასვენა საკუთარი თავი. დამშვიდდა. რესტარტი აიღო და დაგვანახა, რომ უჩვენოდაც კარგად არის. ის მშვიდად აგრძელებს ბრუნვას. განიწმინდა იმ ნაგვისგან, რომელიც ადამიანებმა დავაგროვეთ – ჰაერში, ტბებში, მდინარეებში... დედამიწამ ალიყური წამოგვარტყა – გონს უნდა მოვეგოთ.

დაბოლოს, მინდა, იმედი ვიქონიო, როცა დავიწყებთ ახალ ცხოვრებას, ყველას ექნება გათავისებული რა და როგორ უნდა ვაკეთოთ, რას უნდა გავუფრთხილდეთ, რა უნდა დავაფასოთ. მსოფლიოში მთავრობები უნდა მიხვდნენ, რომ ისინი არ არიან დედამიწის ბატონ-პატრონები. მათ არ ხელეწიფებათ სამყაროს შეცვლა თითის ქნევით და ბრძანებებით.

თუმცა, მაფიქრებს ისიც, რომ უბედურებაში მყოფი წესიერი ადამიანები უფრო კეთილშობილდებიან, ბოროტები კი, პირიქით, უფრო მეტად ბოროტდებიან.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

COVID-19 და მსოფლიო

მარკუს გაბრიელი: *ჩვენ გვჭირდება ახალი მეტაფიზიკური პანდემია*

მსოფლიო წესრიგი შერყეულია. უნივერსუმის შკალაზე ვრცელდება ვირუსი, რომელიც თვალისთვის უხილავია და რომლის მოცულობა ჩვენ არ ვიცით. არავინ იცის ის, თუ უკვე რამდენი ადამიანი დაავადდა კორონათი, რამდენი ადამიანი მოკვდება, როდის შევქმნით ვაქცინას და ასე შემდეგ. ყველაფერთან ერთად, ჯერ კიდევ გაურკვეველია რა ფორმის გავლენას მოახდენს, პანევროპული უკიდურესად შეზღუდული საგანგებო მდგომარეობა, მრეწველობასა და დემოკრატიაზე.

კორონავირუსი არა მხოლოდ ჩვეულებრივი ინფექციური დაავადებაა, ვირუსოლოგიური პანდემიაა. „პან-დემია“ ძველი ბერძნული სიტყვაა და ერთიან ერს ნიშნავს. მართლაც ეს მთელ ერს ეხება და თანაბრად ყველა ადამიანს. თუმცა, ჯერ კიდევ კარგად ვერ გავრკვეულვართ, რამდენად აზრიანია ადამიანები საზღვრებს შიგნით ჩავკეტოთ. რატომ უნდა იცოდეს ვირუსმა, რომ საზღვრები გერმანიასა და საფრანგეთს შორის ჩაკეტილია? რატომ არის ესპანეთი ის ერთობა, რომელიც სხვა ქვეყნებისგან უნდა იყოს გამიჯნული, რათა ვირუსის შეკავება შეძლოს. დღესდღეობით პასუხი ასეთია: რადგან ჯანმრთელობის სისტემები ნაციონალურია, სახელმწიფომ თავისი საზღვრების ფარგლებში უნდა იზრუნოს დაავადებულებზე. და ეს სწორია, თუმცა, ამავდროულად, პრობლემაა. რადგან ეპიდემია ყველა ადამიანს ეხება, იგი გვიჩვენებს, რომ თითოეული ჩვენგანი უხილავი, ადამიანად ყოფნის ჯაჭვებით ვართ დაკავშირებულები. ვირუსის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, დიახ, ვირუსის წინაშე ყველა ადამიანი ადამიანია. ეს ნიშავს: ჩვენ ვართ გარკვეული სახეობის ცხოველები, რომლებიც ვირუსს საკუთარ თავს მომაკვდინებელი გავრცელების მასპინძლად სთავაზობს.

ვირუსები, ზოგადად, მოუგვარებელი მეტაფიზიკური პრობლემაა. უცნობია, არიან თუ არა ისინი ცოცხალი ორგანიზმები; ამის მიზეზი კი, ჩვენი არცოდნაა სიცოცხლის ერთმნიშვნელოვან დეფინიციაზე. სინამდვილეში, ზუსტად არავინ იცის თუ სად იწყება სიცოცხლე. საკმარისია DNA ან RNA, თუ გვჭირდება უჯრედები, რომლებიც თავისით მრავლდებიან? ჩვენ ეს არ ვიცით და ზუსტად ასევე, ნაკლებად ვიცით, რამდენად შესაძლებელია, რომ მცენარეებს, მწერებს და შეიძლება ღვიძლსაც კი ჰქონდეს ცნობიერება? შესაძლებელია კი, რომ მიწის ეკოსისტემა გიგანტური ცოცხალი ორგანიზმი იყოს? არის კი კორონავირუსი პლანეტების იმუნორეაქცია ადამიანის ამპარტავნობის (ქედმაღლობის) წინააღმდეგ, რომელიც, თავისი მოგების წყურვილის გამო, უთვალავ ცოცხალ არსებას ანადგურებს?

კორონავირუსი ააშკარავებს ოცდამეერთე საუკუნეში გაბატონებული იდეოლოგიების სისტემურ სისუსტეს, რასაც განეკუთვნება, მაგალითად, ის ცრურწმენა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების-ტექნოლოგიური წინსვლის საფუძველზე უკვე შესაძლებელია ადამიანური და მორალური განვითარების დაჩქარება. ეს ცრურწმენა გვაცდუნებს დავიჯეროთ, თითქოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ექსპერტებს საყოველთაო სოციალური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლიათ. კორონავირუსმა ეს უნდა გამოააშკარავოს, როგორც საშიში უვიცობა. დიახ, ჩვენ კონსულტაციები ვირუსოლოგებისგან უნდა მივიღოთ, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ დაგვეხმარონ, ვირუსს გაუგონ და შეაკავონ, რათა ადამიანთა სიცოცხლე გადაარჩინონ. მაგრამ ვინ უსმენს მათ მაშინ, როდესაც ისინი გვეუბნებიან, რომ ყოველწლიურად ორასი ათასზე მეტი ბავშვი ვირუსის მიერ გამოწვეული ფაღარათით კვდება, რადგან მათ სუფთა წყალი არ აქვთ? რატომ არავინ ინტერესდება ამ ბავშვებით? რადგან ისინი არ ცხოვრობენ გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში ან იტალიაში? არც ესაა მიზეზი. პასუხი, სამწუხაროდ, ერთმნიშვნელოვანია: ისინი ცხოვრობენ ევროპის ლტოლვილთა ბანაკებში, რადგან გამოექცნენ უსამართლო მდგომარეობას, რომელიც ჩვენ, ჩვენივე სამომხმარებლო სისტემით, შევუქმენით მათ.

ვირუსოლოგიური პანდემიის დასრულების შემდეგ, გვჭირდება მეტაფიზიკური პანდემია, ყველა ერების ერთი ცის ქვეშ შეკრება, საიდანაც არასოდეს გამოვალთ. ჩვენ ვართ და ვრჩებით მიწაზე, ვართ მოკვდავი და მსხვრევადი არსებები, ამრიგად ჩვენ ვიქნებით დედამიწის მოქალაქეები, მეტაფიზიკური პანდემიის მსოფლიო მოქალაქეები. სხვა ყველაფერი გაგვანადგურებს და ვერც ერთი ვირუსოლოგი ვერ გადაგვარჩენს.

თუ წინ გადადგმული ნაბიჯი მორალური ხასიათის არ იქნება, ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტად წინ გადადგმულ ნაბიჯად. პანდემია გვაჩვენებს და გვასწავლის, რომ ნებისმიერი რასისტული სტერეოტიპული ფორმები, როგორც არ უნდა დავმალოთ, ყოველთვის ცხადი გახდება. ტრამპს უნდა, რომ ვირუსს უცილობლად ჩინური პრობლემის კლასიფიკაცია მიანიჭოს; ბორის ჯონსონის აზრით კი, ბრიტანელებს შეუძლიათ სოციალ-დარვინისტურად გადაჭრან პრობლემა და ევგენიკური ჯოგური იმუნიტეტი გამოიმუშავონ. ბევრ გერმანელს სწამს, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა იტალიურზე უპირატესია და გერმანელები უკეთ შევძლებთ კრიზისის აღმოფხვრას. – ეს მხოლოდ საშიში სტერეოტიპები და სულელური ცრურწმენებია.

შესაძლებელია კი, რომ მიწის ეკოსისტემა გიგანტური ცოცხალი ორგანიზმი იყოს? არის კი კორონავირუსი პლანეტების იმუნორეაქცია ადამიანის ამპარტავნობის (ქედმაღლობის) წინააღმდეგ, რომელიც, თავისი მოგების წყურვილის გამო, უთვალავ ცოცხალ არსებას ანადგურებს?

ყველანი ერთი და იმავე ნავში ვსხედვართ, მაგრამ ამაში ახალი არაფერია. ოცდამეერთე საუკუნეა პანდემია, გლობალიზაციის შედეგი. ვირუსი ასაჯაროვებს მხოლოდ იმას, რაც უკვე დიდი ხანია კაზუსია. ვირუსს სააშკარაოზე გამოაქვს სრულიად ახალი იდეის საჭიროება, გლობალური განმანათლებლობის სახით. ამ მოსაზრებას, შეგვიძლია, პიტერ სლოტერდაიკის აზრი მივაშველოთ და განვავრცოთ მოსაზრება: ჩვენ კომუნიზმი კი არ გვჭირდება, არამედ კო-იმუნიზმი (Ko-imunismus); ამის გამო, ჩვენ უნდა ავიცრათ სულიერი შხამის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ნაციონალურ კულტურებად, რასებად, ასაკობრივ ჯგუფებად და კლასებად გვანაწილებს, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ კონკურენციაში შედიან.

ჩვენ ახლა ვიცავთ, სოლიდარობის არნახული აქტით, ევროპაში ჩვენს ავადმყოფებსა და მოხუცებს. სწორედ ამიტომ ვამყოფებთ ბავშვებს სახლებში, ვხურავთ ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ვაცხადებთ სამედიცინო საგანგებო მდგომარეობას; ამისათვის მილიარდობით ევროს ინვესტირება ხდება, რათა კრიზისის დაძლევის შემდეგ, ეკონომიკა ისევ ამოიქოქოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კრიზისის დაძლევის შემდეგ, კვლავ ისე მოვიქცევით, როგორც ადრე, ბევრი სხვა უარესი კრიზისის მომსწრენი გავხდებით, უარესი ვირუსების, რომელთა წარმოქმნას ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგებით. ასევე კრიზისის გამომწვევი იქნება სამრეწველო ომის გაგრძელება შეერთებულ შტატებთან, რომელშიც ახლა იმყოფება ევროპა; დიდი კრიზისი გამომწვევია, ასევე, რასიზმისა და ნაციონალიზმის, რომელიც ებრძვის მიგრანტებს, რომლებიც ჩვენკენ მორბიან და რომელთა ჯალათ მტანჯველებს იარაღი და სამეცნიერო ცოდნა მივეცით, ქიმიური იარაღი რომ ეწარმოებინათ.

რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია და არ უნდა დავიწყოთ, ეს კლიმატის კრიზისია, რომელიც ნებისმიერ ვირუსზე გაცილებით სახიფათოა, რადგან იგი ნელი სვლით იწვევს ადამიანის თვითგანადგურებას; კორონას მეშვეობით კი, ეს მხოლოდ დროებითაა დამუხრუჭებული. კორონამდე მსოფლიო წესრიგი არ იყო ნორმალური, არამედ – ლეტალური. რატომ არ შეგვიძლია მილიარდების ინვესტირება, ჩვენივე მობილურობა რომ შევცვალოთ? რატომ არ შეგვიძლია ჩვენი თავების „გაციფრულება“, რათა თავიდან ავიცილოთ ის დიდი ხარჯი, რასაც მსხვილი ბიზნესბოსები, უაზრო ბიზნეს შეხვედრებისთვის, ხარჯავენ, როცა დაფრინავენ კერძო თვითმფრინავებით? არ შეუძლიათ მიმოწერით, ციფრული ტექნოლოგიებით შეათანხმონ თავიანთი ბიზნესგეგმები? როდის შევიგნებთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ეს ძალიან საშიში კორონავირუსიც არ გავაიგივოთ ჩვენს ცრურწმენასთან, რომ მეცნიერებას და ტენოლოგიას ყველა თანამედროვე პრობლემის მოგვარება შეუძლია, ეს გულუბრყვილობაა! ეს არის გამაფრთხილებელი ძახილი ყველა ჩვენგანის, ყველა ადამიანის და არა მხოლოდ ევროპელების მიმართ. ჩვენ ახალი განმანათლებლობა გვჭირდება, თითოეული ადამიანი, ეთიკურად განათლებული უნდა იყოს, რათა გიგანტური საშიშროებების საფრთხე ამოვიცნოთ; ეს დილემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ბრმად მივყვებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებას და ტექნიკას. ის, რომ ვირუსს ყველა საშუალებებით ვებრძვით, ჩვენი მხრიდან სწორი საქციელია. ერთჯერადად, ვახერხებთ სოლიდარობას და მორალურობას, და ეს კარგია. მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, რამდენიმე კვირის განმავლობაში, სამეცნიერო ექსპერტიზის უპატივცემულობიდან საგანგებო მდგომარეობაში გადავედით, რაც ჩემმა ნიუ-იორკელმა მეგობარმა მოსწრებულად შეაფასა, როგორც „სამეცნიერო მორწმუნეობის ჩრდილო კორეა“. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ გლობალური კაპიტალიზმის ინფექციური ბორკილები, რომელიც ჩვენს ბუნებას ანადგურებს და ეროვნული სახელმწიფოების მოქალაქეებს აბრიყვებს და ამით, ძირითადი პროფესიით, ჩვენ ტურისტები და პროდუქციის მომხმარებლები ვხდებით და რომ ეს ყველაფერი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, უფრო მეტი ადამიანის სიკვდილს გამოიწვევს, ვიდრე ყველა ვირუსი ერთად აღებული. რატომ აღძრავს სამედიცინო ვირუსოლოგიური შემეცნება სოლიდარობას, ფილოსოფიური შეხედულება კი – არა, რომ სუიციდალური გლობალიზაციიდან ერთადერთი გამოსავალია მსოფლიო წესრიგი, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური სახელმწიფოების მოზღვავების მიღმა, რაც განპირობებულია სულელური კვანტიტატიური ეკონომიკის ლოგიკით. ვირუსოლოგიური პანდემიის დასრულების შემდეგ, გვჭირდება მეტაფიზიკური პანდემია, ყველა ერების ერთი ცის ქვეშ შეკრება, საიდანაც არასოდეს გამოვალთ. ჩვენ ვართ და ვრჩებით მიწაზე, ვართ მოკვდავი და მსხვრევადი არსებები, ამრიგად ჩვენ ვიქნებით დედამიწის მოქალაქეები, მეტაფიზიკური პანდემიის მსოფლიო მოქალაქეები. სხვა ყველაფერი გაგვანადგურებს და ვერც ერთი ვირუსოლოგი ვერ გადაგვარჩენს.

თარგმნა **გიორგი ბერიაშვილმა**

⇨ პროფესორი მარკუს გაბრიელი ბონის უნივერსიტეტის შემეცნების თეორიის, ახალი დროისა და თანამედროვე ფილოსოფიის კათედრის გამგეა; ხელმძღვანელობს ფილოსოფიის ინტერნაციონალურ ცენტრს. იგი ცნობილი გახდა, როგორც ახალი რეალიზმის დამფუძნებელი, მისი წიგნები – „რატომ არ არის სამყარო“, „მე არ არის ტვინი“ და „აზროვნების საწყისი“ – წარმოადგენს მის მიერ დაფუძნებულ ახალ ფილოსოფიურ მიმართულებას.ვირუსოლოგიური პანდემიის დასრულების შემდეგ, გვჭირდება მეტაფიზიკური პანდემია, ყველა ერების ერთი ცის ქვეშ შეკრება, საიდანაც არასოდეს გამოვალთ. ჩვენ ვართ და ვრჩებით მიწაზე, ვართ მოკვდავი და მსხვრევადი არსებები, ამრიგად ჩვენ ვიქნებით დედამიწის მოქალაქეები, მეტაფიზიკური პანდემიის მსოფლიო მოქალაქეები. სხვა ყველაფერი გაგვანადგურებს და ვერც ერთი ვირუსოლოგი ვერ გადაგვარჩენს.

მშობელთა კრება

ბავშვები იმ მანქანის მგზავრები არიან, რომელსაც ჩვენ ვმართავთ

6 რჩევა მშობლებს პანდემიის დროს ბავშვების მხარდასაჭერად

კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულ სიტუაციას თან ახლავს შფოთვა, სტრესი და გაურკვევლობა. ამას ყველაზე ძლიერად ბავშვები განიცდიან. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე დაიხურა სკოლები, გაუქმდა სხვადასხვა აქტივობები, თქვენს შვილს მეგობრებთან განშორება მოუწია, ამიტომ ახლა მას თქვენი მხარდაჭერა და სიყვარული იმაზე მეტად სჭირდება, ვიდრე ოდესმე. ამისთვის ფსიქოლოგები რამდენიმე რჩევას გვიზიარებენ:

1. იყავით მშვიდი და აქტიური

მშობლები მშვიდად და ხშირად უნდა ესაუბრონ შვილებს კორონავირუსის შესახებ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. უთხარით ბავშვებს, რომ შესაძლებელია, მათ ან თქვენ, დაგეწყოთ სიმპტომები, გრიპის ან სხვა ვირუსების სიმპტომების მსგავსი. სთხოვეთ ბავშვს, ამ შემთხვევაში, მსგავსი სიმპტომების გამოვლენისას, დაუყოვნებლივ გაცნობოთ და არ შეშინდეს, რადგან ეს შესაძლოა უბრალო გაცივება იყოს.

მოზრდილები თანაგრძნობით უნდა შეხვდნენ იმას, რასაც ბავშვები განიცდიან კორონავირუსთან დაკავშირებით – ნერვიულობენ, შეშფოთებულები არიან. უნდა დაარწმუნოთ თქვენი შვილები, რომ ვირუსი ნაკლებად საშიშია ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ კორონავირუსის მრავალი შემთხვევა განკურნებადია. ჩვენ უნდა შევახსენოთ მათ, რომ არის მრავალი ეფექტური საშუალება, რითიც შეგვიძლია დავიცვათ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ სხვებიც. ფსიქოლოგები გვირჩევენ, ავუხსნათ შვილებს, რატომ უნდა დავიცვათ ელემენტარული ჰიგიენა: დავიბანოთ ხელები, არ შევეხოთ ჩვენს სახეს და დავიცვათ სოციალური დისტანცია, დავრჩეთ სახლში. ეს იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ვზრუნავთ საზოგადოების წევრებზე, ვფიქრობთ გარშემომყოფებზე.

2. ჩამოაყალიბეთ რუტინა

ბავშვებს სჭირდებათ რუტინა, ამიტომ, რაც ყველაზე სწრაფად უნდა გააკეთონ მშობლებმა, ეს არის სტრუქტურის ჩამოყალიბება. მკაცრად რეკომენდებულია დღის წესრიგის შედგენა, რომელიც მოიცავს თამაშის დროს, ასევე, დროს მეგობრებთან კომუნიკაციისთვის და ტექნოლოგიებისგან თავისუფალ დროს. ბავშვებისთვის ძალიან კარგი იქნება, განსაზღვროთ როდის იმუშაონ და როდის ითამაშონ.

თუ ბავშვი 10-11 წლისაა ან მეტის, მიეცით მას მიმართულება, რომ თავად შეადგინოს თავისი დღის წესრიგი, მიუთითეთ, რომელ აუცილებელ კომპონენტებს უნდა მოიცავდეს რუტინა და შემდეგ მიეცით თავისუფლება, თავად ჩამოაყალიბოს.

ასევე, დაანახეთ, რომ იზიარებთ მათ ემოციურ მდგომარეობას, განცდებს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

3. ნება მიეცით შვილებს, გამოხატონ ემოციები

კორონავირუსის გავრცელების გამო დაიხურა სკოლები, გაუქმდა არაერთი ღონისძიება და ამის გამო ბავშვები საკმაოდ იმედგაცრუებულები არიან. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ეს მათთვის ბევრად უფრო ემოციური მომენტია, ვიდრე ჩვენთვის, რადგან ჩვენ ამ სიტუაციას ჩვენი განვლილი ცხოვრებისა და გამოცდილების მიხედვით ვაფასებთ. ამიტომ ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა.

4. შეამოწმეთ რა ინფორმაციას იღებს თქვენი შვილი

დღეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები არაერთ არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ კორონავირუსის შესახებ. ამ ყველაფერს, შესაძლოა, თქვენი შვილიც უსმენს. საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ თქვენ მიანოდოთ ბავშვს სწორი ინფორმაცია, რადგან მან, შესაძლოა, სხვა საიფორმაციო საშუალებებიდან მოისმინოს „ფეიკ ნიუსები“, ამიტომ ყოველთვის გადაამოწმეთ საიდან იღებს ინფორმაციას თქვენი შვილი, რათა მან სწორად აღიქვას ფაქტები.გაარკვიეთ, რა იცის თქვენმა შვილმა ეპიდემიის შესახებ და მიაწოდეთ მას სწორი ინფორმაცია. თუ აქვთ კითხვები, რომლებსაც თქვენ ვერ პასუხობთ, ვარაუდის გამოთქმის ნაცვლად, სჯობს მასთან ერთად გამოარკვიოთ სიმართლე. გამოიყენეთ ისეთი სანდო საინფორმაციო ვებგვერდები, როგორიც არის UNICEF-ის ან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გვერდები.

კორონავირუსის გავრცელებასთან ერთად, ბევრი ბავშვი აწყდება, სკოლაში თუ ონლაინ სივრცეში, ბულინგს ან ძალადობას. ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენმა შვილმა იცოდეს, რომ თქვენ ყოველთვის მის გვერდით ხართ, როცა ის ბულინგის ან ძალადობის მსხვერპლი ხდება.

ჩვენ უნდა გავამხნევოთ ისინი, რადგან ამ დროს განსაკუთრებით სჭირდებათ მათ ჩვენი თანადგომა და მხარდაჭერა.

5. ეცადეთ ბავშვს ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინოთ

როდესაც საქმე რთული ემოციების გამკლავებას ეხება, ნამდვილად ბევრი უნდა იფიქროთ თქვენი გრძნობების შესახებ საუბრის დაბალანსებაზე. თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ ოჯახური თამაშები საღამოობით ან ერთად მოამზადოთ რაიმე კერძი სამზარეულოში. ზოგიერთი ადამიანი სადილის დროს საკუთარ ოჯახთან კომუნიკაციისთვის იყენებს.

მიეცით თქვენს შვილებს მიმართულება, დროის სოციალურ მედიაში და ტელეფონთან გატარების ნაცვლად, ეს დრო სასარგებლოდ გამოიყენოს. ჰკითხეთ, როგორ უფრო ნაყოფიერი იქნება ამ დროის გამოყენება და მათთან ერთად მოიფიქრეთ, როგორ დაგეგმოთ ეს ყველაფერი.

6. აკონტროლეთ თქვენი ქცევა

მშობლებიც, რა თქმა უნდა, განერვიულებულები არიან , თუმცა, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენი შვილები თქვენგან იღებენ მაგალითს. ფსიქოლოგები ურჩევენ მშობლებს, პირველ რიგში, საკუთარი ემოციები აკონტროლონ და არ გაუზიარონ თავიანთი შიშები ბავშვებს, რადგან ისინი ამ ყოველივეს უფრო მძაფრად განიცდიან.

ბავშვები მშობლების უსაფრთხოების და დაცულობის გრძნობას ეყრდნობიან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვები იმ მანქანის მგზავრები არიან, რომელსაც ჩვენ ვმართავთ. და თუ ჩვენ ვერ ვმართავთ საკუთარ ემოციებს, ვერც მათი უსაფრთხოების შენარჩუნებას შევძლებთ.

მოამზადა მარიამ მხეიძემ

CAPTAN: Science the Captain

ევროკომისიის კონკურსში წარდგენილმა პროექტმა გამარჯვება მოიპოვა

მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის “Horizon 2020” მარი სკლოდოვსკა-კიურის მიმართულების კონკურსზე **„ევროპელ მკვლევართა ღამე“** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარდგენილმა პროექტმა **„CAPTAIN: Science is the Captain“** გაიმარჯვა **და 197 500 ევროს ღირებულების გრანტი მოიპოვა.**

პროექტის სახელწოდება — **„კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია“** — ინსპირირებულია ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ციტატით „მეცნიერება კაპიტანია, ხოლო პრაქტიკა — ჯარისკაცები“ („Science is the Captain, and practice the soldiers“). პროექტი, 2020 წლის შემოდგომაზე, საქართველოში, საერთო-ევროპული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ჩატარებას გულისხმობს და მისი ამბიციური მიზანია ევროპის კონტინენტზე ევროპული მეცნიერებისა და ინოვაციების ევროპული ტიპის დღესასწაულის გამართვა.

ისტორიაში პირველად, საქართველოს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი“ გამოჩნდება, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და „ჰორიზონტი 2020“ პროგრამის ასოცირებული ქვეყნების მასშტაბით, სინქრონულ რეჟიმში მიმდინარე საფესტივალო ღონისძიებების რუკაზე, ევროკავშირის მიერ „ევროპელ მკვლევართა ღამისთვის“ შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე. „ევროპელ მკვლევართა ღამე“ ევროპული მეცნიერებისა და ინოვაციების ფართო მასშტაბის ფესტივალია, რომელიც ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „Horizon 2020“ მარი სკლოდოვსკა-კიურის მიმართულების კონკურსი „ევროპელ მკვლევართა ღამე“ (European Researchers’ Night) ყოველ მეორე წელს ცხადდება და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და „Horizon 2020“ პროგრამის ასოცირებული ქვეყნების ათეულობით ქალაქში 2005 წლიდან იმართება.

„კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია“ პროექტის ფარგლებში, 2020 წლის შემოდგომაზე, საქართველოს 6 ქალაქში, ფართომასშტაბიანი ღონისძიებები გაიმართება, რომლებიც სახალისო, გასართობი, კულტურული, სპორტული და, რაც მთავარია, შემეცნებითი აქტივობების ჩატარებას გულისხმობს. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მულტიდისციპლინური და მრავალდარგობრივია, მოიცავს როგორც სამეცნიერო და ინოვაციურ, ისე მუზეუმების, არქეოლოგიის, ასტრონომიის, მეღვინეობის, საკვებ-ტექნოლოგიების, ფეხბურთის, მწერლობისა და ისტორიის საკითხებს.

პროექტის მიზანია, საზოგადოებამ უკეთ გაიგოს, თუ რა დადებითი ზეგავლენა აქვს მეცნიერ-მკვლევართა საქმიანობას თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე; უბიძგოს ახალგაზრდებს სამეცნიერო-კვლევითი კარიერის არჩევისკენ; გააძლიეროს მეცნიერის იმიჯი საზოგადოებაში.

პროექტის „კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია“ პარტნიორი ორგანიზაციაა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, განხორციელების პროცესში ჩართული იქნებიან მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში მოღვაწე პირები, ათობით ინსტიტუცია (სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უნივერსიტეტები, სკოლები, მწერალთა სახლი, ფეხბურთის ფედერაცია და ა.შ.).

სახლი საიმედო თავშესაფარია მაშინ, როცა გარეთ საფრთხე გველოდება

მაია მენაბდე
ბათუმის №3 საჯარო სკოლისა და კერძო სკოლის „შპს განათლება“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2019“-ის ფინალისტი

#დარჩისახლში

ამ ჯოჩონობის ჟამს გამუდმებით მაქვს განცდა, რომ სათაური ისტორიული მოვლენის მომსწრენი აღმოვჩნდით. მოვლენის, რომლის მსგავსი არ ახსოვს არც ჩემს მშობლებს, არც ბებია-ბაბუებს, მაგრამ ჯაცობრიობას ახსოვს. არაერთი.
ამას ვეუბნები ჩემს მოსწავლეებსაც. ძალიან მინდა, გააცნობიერონ, რამდენად უჩვეულო ამბის თანამონაწილენი არიან. ვფიქრობ, ამის გაცნობიერება ბევრ რამეში დაეხმარებათ.

ამ ჟამის უჩვეულობა იმით გამოიხატება, რომ არის ერთულესი, მაგრამ აქვს თავისი დადებითი მხარეებიც. ამიტომ ჩვენი გონება, ძალისხმევა, ინტერესები ამ ჯარგისჯენ უნდა მივმართოთ.

ყველაზე უცნაური სიზმარშიც ჯი ვერ წარმოიდგენდნენ ბავშვები, რომ დადგებოდა დრო, როცა სკოლაში არ ივლიდნენ, სახლში ჩაუტარებდებოდათ გაკვეთილები და თანაც საკუთარი თავისთვის, ინტერესებისთვისაც ბევრი დრო დარჩებოდათ როცა მშობლები არ იქნებოდნენ სამსახურში გასაქცევი და ოჯახის ყველა წევრს ექნებოდა საშუალება, ერთმანეთისთვის მაქსიმალური დრო დათმო.

ჩემს მოსწავლეებს ვუჩრევ, შექმნან დღიურები, რომლებშიც ჩაინერონ ამ უჩვეულო არდადეგების ყველა განცდას, ფიქრს, ჯარჩაჯეტილობის რთულსა და ემოციურ თავგადასავალს. ეს დღიურები ისტორიას დარჩება.

ძალიან მინდა, ნათლად დაინახონ, რომ ეს ის უჩვეულო დროა, როცა გარემო, სხვა ადამიანები ჯი არ ქმნიან ჩვენს დღეს, არამედ ჩვენ თვითონ ვქმით მას და ჩვენს მონდომებაზე, ნებისყოფაზე, ფანტაზიაზეა დამოკიდებული, როგორი დღე გვექნება. რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი და ამიტომაც სჭირდებათ ბავშვებს ჩვენი, მასწავლებლებისა და მშობლების, დახმარება.

ყოველთვის ვთვლიდი, რომ მასწავლებლობა რთული პროფესიაა და ახლა ჯიდევ უფრო დავრწმუნდი, რადგან ასჯერ უფრო გართულდა. სიახლეებისთვის ფეხის ანყობა ჩვენი პროფესიის განმსაზღვრელია და ახლაც უნდა ვისწავლოთ, როგორ ვასწავლოთ შორიდან, დისტანციურად.

დისტანციური სწავლება ჯი რამდენიმე ასპექტს მოიცავს: მოსწავლეების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული რესურსების შექმნა; ტექნოლოგიების საინტერესო მხარეების ათვისება და მიზანმიმართულად გამოყენება; მოსწავლეების ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება.

გაასმაგებულია მშობლების პასუხისმგებლობაც – ამ სტრესულ, საზრუნავმომატებულ, მომავლის შიშით გაჯერებულ გარემოში მათ უნევთ, სწავლა-სწავლების უშუალო თანამონაწილენი გახდნენ. ამჯერად ისინი არიან ამ პროცესის არა უბრალოდ დამკვირვებელნი, არამედ ხელშემწყობნი. თან უდიდესი სიფრთხილეც მართებთ, რათა მეტისმეტი ჩარევით დათვური სამსახური არ გაუნირონ შვილებს.
ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გამონვევა ახლა სახლში იყრის თავს.

სახლი ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია ადამიანისთვის. ადგილი, რომელმაც თავისი ფუნქცია დაკარგა თანამედროვე სამყაროს, ადამიანების ცხოვრების გიჟური ტემპის გამო.

სახლი სიმყუდროვისა და ოჯახის ერთად ყოფნის ადგილია;

სახლი საკუთარ თავზე დაფიქრების, საკუთარ თავში საინტერესო რამეების აღმოჩენის ადგილია;

სახლი საიმედო თავშესაფარია მაშინ, როცა გარეთ საფრთხე გველოდება;

#დავჩრეთსახლში!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი